გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 80

2020 წლის 10 ივლისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება; ამავე კოდექსის 106[1] მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას გასცემს ამ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას.

დღეის მდგომარეობით, გორის მუნიციპალიტეტის მიერ არ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება, გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო რეგულარულ გადაყვანას არ ახორციელებს რომელიმე მუნიციპალური ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ეს კი თავის მხრივ მთელ რიგ სირთულეებს ქმნის, რათა ჩვენს მოსახლეობას მიეწოდოს სისტემურად გამართული სერვისი სამგზავრო გადაყვანის კუთხით. ეს უკანასკნელი კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებრივი დანიშნულების ტრანსპორტით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მითითებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მისცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს ზემოაღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე